სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო -კვლევითი ცენტრი

კ ო ნ კ უ რ ს ი

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი აცხადებს კონკურსს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში, ადგილობრივ ჯიშთა შესწავლისა და კონსერვაციის ზოოლოგიური კომპლექსის სრული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე

2015 წელი

შესყიდვის ობიექტია: **მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო -კვლევითი ცენტრის ადგილობრივ ჯიშთა შესწავლისა და კონსერვაციის ზოოლოგიური კომპლექსის სრული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.**

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების ტექნიკური პირობა

საპროექტო მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **190 000.00 (ასოთხმოცდაათიათასი ლარი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

1. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

1.1 **საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის** დაინტერესებული პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე (ანგარიშის რეკვიზიტები იხ. ვებგვერდზე: **www.procurement.gov.ge**)

1.2 **საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:**

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განაცხადის სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

2. წინადადებების მიღება იწარმოებს 2015 წლის 30 მაისს 12 საათიდან-15 საათამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილების შესახებ და საკონკურსო წინადადება ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ #6. შესყიდვების სამსახური.

4. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

6. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს კონკურსანტის მიერ, ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

7. საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

8. საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს და ითვალისწინებდეს:

- კონკურსანტის რეკვიზიტებს;
- საკონკურსო წინადადების ფასს;
- ინფორმაციას მიწოდების ვადის შესახებ;
- ინფორმაცია კონკურსანტის მიერ წარსულში დაპროექტებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების შესახებ;
- გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა ტექნიკური დავალების შესაბამისად შემდეგი სახით:
    1. არქიტექტურული კონცეფცია-ესკიზური პროექტის ავტორისეული ხედვით, გენგეგმა, 3D ვიზუალიზაცია (რენდერები: ერთი-მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, ერთი -მეფრინველეობის და ერთი-ცხენის თავლის, ხოლო არანაკლებ ორი კონკურსანტის შერჩევით).
    2. ესკიზური პროექტის ელექტრონული ვერსია (PDF ფაილით, რომლის თითოეული ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7მგბ-ს)
    3. განმარტებითი ბარათი, ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროექტის დახასიათება, გამოყენებული მასალებების დახასიათება.

9. საკონკურსო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: არქიტექტურული კონცეფცია ესკიზური პროექტის ავტორისეული ხედვა -0,3, ფასი-0,3, გამოცდილება - 0,3, პროექტირების ვადები - 0,1.

10. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ნახაზები, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ შესაბამისად) უნდა წარმოადგინოს 3 ეგზემპლარი ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში და ელექტრონული სახით ჩაწერილი CD დისკზე.

11. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიის აპარატში:

საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ რეხვიაშვილი.

მისამართი: მარშალ გელოვანის გამზ #6.

ტელეფონი: 577 387 235.

ტექნიკური დავალება

დასაპროექტებელი მშენებლობა უნდა დაპროექტდეს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კუთვნილ ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს მცხეთის რაიონის სოფელი მუხრანში. (საკადასტრო კოდი 72.09.44.011

კომპლექსის დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ნაგებობების სანიტარულ-ჰიგიენური პირობები (HACCP, GHP და სხვა საერთაშორისო მოთხოვნები)

დასაპროექტებელი შენობების სავარაუდო ნაკვეთი.



1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ადგილობრივი ჯიშების საცდელ-სადემონსტარციო ფერმა

მიზანი: სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზაზე ძროხის ადგილობრივი ჯიშების და ქართული კამეჩის საცდელ-სადემონსტრაციო ფერმის შექმნა, სადაც ჩატარდება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, შეისწავლება ჯიშების გენეტიკური პოტენციალი; შეიქმნება სპერმის ბანკი.

. ფერმის სავარაუდო სიდიდე -2000-2500 კვ.მ

ფერმა დაკომპლექტებული იქნება 200 ზრდასრული და 50 მოზარდით.

ტექნოლოგია:

თანამედროვე სტანდარტების:

- საწველი მოწყობილობა 8 სულზე და 2 მობილური საწველი აპარატი;
- რძის შეგროვება, გაფილტვრა, გაცივება;
- საწველი სისტემის და ვედროების რეცხვა-დეზიფენქცია.

2. ცხვრის სადგომი

ფერმა გათვალისწინებული უნდა იყოს 200 ცხვრისა და 100 თხის შესანახად. შენობა და ვოლიერები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ნორმებს.

ფერმის სავარაუდო სიდიდე - 1000- 1200 კვ. მ

ფერმა დაკომპლექტებული იქნება
1.ცხვრის სადგომი;
2.სამშობიარო განყოფილება;
3.საჩვილე;
4.კორაკანები;
5.საბატკნეები;
6.ბაკი;
7.მწყემსების ოთახი;
8.ინვენტარის შესანახი ოთახი;
9.კონცენტრატების შესანახი ოთახი

3. სანაშენე ბუღების შესანახი ფერმა და კრიოკონსერვაციის ლაბორატორია

ფერმის სავარაუდო სიდიდე

შენობის საერთო ფართი სავარაუდოდ **600 კვ. მ.**

ბუღების სადგომის ფართი სავარაუდოდ **200 კვ. მ.**

ფერმა დაკომპლექტებული იქნება - 8 ბუღის შენახვაზე.

უნდა შეესაბამებოდეს ცხოველთა სპერმის დამზადება კრიო კონსერვაციის თანამედროვე ნორმებს.

4. კახური ღორის ფერმა

ფერმის სავარაუდო სიდიდე - 900-1200 კვ. მ.

კახური ღორის ფერმაში სავარაუდოდ განიხილება ორი შენობა-ნაგებობა.

1. ღორის სადგომი 200 სულზე;
2. შენობა მოსაგები და მაწოვარა ნეზვებისათვის 30 სულზე.

- ფერმა გათვლილი უნდა იყოს 6 კერატზე,
- გარდა ძირითადი ნეზვებისა და კერატებისა დაემატება სხვადასხვა სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მოზარდი.

5. მეფრინველეობის ფერმა

ბაზაში ფრინველის 5 სახეობის (ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი და ხოხობი) 10 ჯიშისა და პოპულაციის ზრდასრულებული ფრინველი და მოზარდეული განთავსებული იქნება 4 საფრინველეში და 1 ვოილერში:

1. სადემონსტრაციო საფრინველე ზრდადასრულებული ქათმისა და ინდაურისთვის

2. სადემონსტრაციო საფრინველე ზრდადასრულებული ბატისა და იხვისთვის

3. საფრინველე ქათმისა და ინდაურის მოზარდეულისთვის

4. საფრინველე ბატისა და იხვის მოზარდეულისთვის

5. სახოხბე (ვოილერი)

6. გარდა ამისა კვერცხის ინკუბაციისთვის გათვალისწინებულია ინკუბატორიუმის მშენებლობა.

ინკუბატორიუმში გათვალისწინებულია ორი - სამ ათასიანი და ორი - ხუთას კვერცხიანი ინკუბატორის განთავსება სხვადასხვა სახეობის ფრინველის კვერცხის ინკუბაციისთვის.

1. **ზრდადასრულებულ ქათმის და ინდაურის სადემონსტრაციო საფრინველე ფერმის სავარაუდო სიდიდე - 550 მ²**

ფრინველის სექციების რაოდენობა 8

საფრინველეში გათვალისწინებულია ქათმის 5 (ჩალისფერი,მეგრულა,შავი ქათამი, ნაცარა და ყელტიტველა) და ინდაურის 1 (ჩალისფერი) პოპულაციის მოშენება.

ქათმის თითოეული პოპულაციის რაოდენობა: 150 ფრთა დედალი და 30 ფრთა მამალი . გარდა ამისა გათვალისწინებული იქნება სარეზერვო მამლების შენახვა (25 ფრთა) სპერმის კრიოკონსერვაციისთვის.

ინდაურის რაოდენობა: 50 ფრთა დედალი და 7 მამალი, სარეზერვო მამლი- 25 ფრთა.

ფრინველებისათვის ბუნებრივი გარემოს შექმნის მიზნით, როგორც ზრდადასრულებული ისე მოზარდეულის საფრინველეებთან გათვალისწინებულია ნათესბალახოვანი სეირანის მოწყობა და დაბალტანიანი ხის ნარგავების შერჩევა საჩრდილობელის მოსაწყობათ.

2. **სადემონსტრაციო საფრინველე ბატისა და იხვის მოზარდეულისთვის**

ფერმის სავარაუდო სიდიდე - 540 მ²

ფრინველის სექციების რაოდენობა: 9

საფრინველე გათვალისწინებულია ჯავახური ბატის ორი პოპულაციის (1წლიანი, 2 წლიანი და 3 წლიანი) და ადგილობრივი იხვის მოსაშენებლად.

ბატის პოპულაციის რაოდენობა: თითოეულ პოპულაცია 60 დედალი და 20 მამალი, სარეზერვო მამლები -25 ფრთა.

ადგილობრივი იხვის რაოდენობა: 60 დედალი და 15 მამალი. სარეზერვო მამალი-25 ფრთა

3. **საფრინველე ქათმის და ინდაურის მოზარდეულისთვის**

ფერმის სავარაუდო სიდიდე - 460 მ²

საფრინველის ზომები:12 მ X 36 მ X 2,8 მ

სეირანის ზომები: 7,5 მ X 36 მ X 2,4 მ

ფრინველის სექციების რაოდენობა: 10

საწიწილეს ფართობი: 300 მ²

4. **ბატის და იხვის მოზარდეულის გამოსაზრდელი**

ფერმის სავარაუდო სიდიდე - 460

საფრინველის ზომები:12 მ X 36 მ X 2,8 მ

სეირანის ზომები: 15 მ X 30 მ X 2,4 მ

ფრინველის სექციების რაოდენობა: 5

ფართობი- 300 $მ^2$

5. სახოხბე

ფერმის სავარაუდო სიდიდე - 265 $მ^2$

სახოხბე 15მ X 20 X 4მ

6. საკოლექციო-სადემონსტრაციო ნაკვეთი მეთევზეობაში

საჭიროა სადემონსტრაციო-საკოლექციო სატბორე-სანაშენე თევზის მეურნეობის მოწყობა,სადაც განხორციელდება თევზის ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების(კოლხური ზუთხი, რიონის და ფარავნის კობრი, რიონის და ალაზნის ლოქო, ნაკადულის და ცისარტყელა კალმახი, წვერა) მოშენება, მოხდება მათი მოძიება, შემდგომში სელექციითა და კვება -მოვლის ახალი ტექნოლოგიების დანერგვით.

უნდა მოეწყოს სასდემონსტრაციო დარბაზი 5 აკვარიუმით. მათ შორის 3 ცალი 2 კუბ. მ. და 2 აკვარიუმი 5 კუბ. მ-ის ზომის თანამედროვე თერმო რეგულაციით, ფილტრებით, ოქსიგენიზაციითა და განათების სისტემებით.

დახურული ციკლის თევზსაშენი 500-1000 კგ წლიური წარმობადობით ზუთხისებრთა, კარპისებრთა და ორაგულისებრთა მოსაშენებლად.

ლიფსიტის მისაღები მოწყობილობა.

5 ერთეული 30 კუბ. მ ტევადობის ღია ტიპის წყალსატევი ფილტრაციისა და ოქსიგენიზაციის სისტემებით.

შენობათა სავარაუდო ფართი 200-300 კვ. მ.

7. საფუტკრე

საჭიროა შენობა 50 კვ. მ და ეზო 60 კვ.მ.

8. აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები ბინა

სავარაუდო ფართი 170-200 კვ. მ.

აბრეშუმის ჭიის გამოკვების ოთახი 80 მ2
ფოთლების მოსამზადებელი ოთახი 20მ2
ტექნოლოგიის ოთახი- 22 მ2
აბრეშუმის ჭიის დაავადებების ოთახი- 30 მ2-
ოთახი თანამშრომლებისათვის -20მ2

9. საკვებწარმოების ოფისი

10. ვეტ-სანიტარიული ბლოკი

ვეტ.სანიტარიული ბლოკი შედგება შემდეგი კვანძებისაგან:

I. ვეტერინარიული პუნქტი
II. ცხვრის გასაბანებელი აბაზანა
III. სანიტარიული მინი-სასაკლაო
IV. უტილიზატორი
V. სეპტიკი

I. ვეტერინარიული პუნქტი (N 13) ეწყობა მინი-სტაციონარებით და გათვლილია ცხოველების სამკურნალოდ, ასევე, ზოგიერთი პროფილაქტიკური მანიპულაციის ჩასატარებლად. პუნქტში განსაზღვრულია სხვადასხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატებისა და საშუალებების მარაგის შექმნა, ქირურგიულ, თერაპიულ და გინეკოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ. ამასთან, აუცილებლობის შემთხვევაში, ჰემოსპორიდიოზული დაავადებების გართულებისას (ტიმპანია, ატონია) ცხოველებს ჩაუტარდებათ გადაუდებელი სამკურნალო დახმარება, რის გარეშე მოსალოდნელია პირუტყვის სიკვდილი.

ვეტპუნქტში ცხოველები გადაგვყავს მოკლე დროით, შემდეგ ძირითად ჯოგში ვაბრუნებთ. აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია დაავადებულთა დაყოვნება მათ სრულ კლინიკურ გაჯანსაღებამდე. აქვე ჩატარდება მამრი ცხოველების კასტრაციაც, თუ ამის საჭიროება იქნება.

ვეტ.სანიტარიული ბლოკი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც სასწავლო-საჩვენებელი ობიექტი სტუდენტებისათვის სადიაგნოსტიკო კვლევების, აგრეთვე სამკურნალო და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელების პრაქტიკული ჩვევების ასათვისებლად.

ვეტპუნქტის შენობაში განთავსდება:

1.ოთახი ვეტსპეციალისტებისათვის (14-16 მ^2);

2.სადიაგნოსტიკო კვლევის ლაბორატორიული ოთახი (22-24მ^2);

3.მაცივარი ოთახი ბიოპრეპარატების (შრატები და ვაქცინები), ანტისეპტიკური, სამკურნალო და სადიაგნოსტიკო საშუალებების შესანახად;

4.ოთახი სადეზინფექციო, სადეზინვაზიო, სადერატიზაციო, აკარიციდული და ინსექტიციდური საშუალებების შესანახად;

5.სათადარიგო ინვენტარის და ხელსაწყო დანადგარების შესანახი ოთახი;

6.სანიტარიულ-ჰიგიენური ოთახი (ტუალეტი ხელსაბანით და საშხაპე);

7.ოთახი ფურაჟის შესანახად.

8. საკვებურებით და საწყურვებლებით უზრუნველყოფილი სტაციონარი ავადმყოფი მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის განსათავსებლად.

II. ცხვრის გასაბანებელი აბაზანა (N 22). ექტიპარაზიტობის გააქტიურების პერიოდში (აპრილი-სექტემბერი) ტკიპების საწინააღმდეგოდ ცხვრებისა და თხების დასამუშავებლად სპეციალურ ხსანებში მათი გაბანების გზით.

III. სანიტარიული მინი-სასაკლაო (N 18) განკუთვნილია ცხოველთა იძულებითი დაკვლისათვის. იგი უნდა განთავსდეს განცალკევებით ვეტპუტქტიდან და სხვა შენობა-ნაგებობებიდან მინიმუმ 50 მ-ის დაშორებით მაინც.

სასაკლაოს ეზო შემოღობილ უნდა იქნეს ჩაბეტონებული, მასიური მეტალოკონსტრუქციის მინიმუმ 1,7 მ სიმაღლის ღობით.

IV. უტილიზატორი (N 19) განკუთვნილია ცხოველის ლეშების, სასაკლაოს ანარჩენების, მომყოლისა და სანაყოფე გარსების, სამკურნალო მანიპულირების ნარჩენებისა და სხვათა უტილიზაციისათვის.

V. სეპტიკი (N 20) განკუთვნილია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მუხრანის საცდელ-სადემონსტრაციო კომპლექსის ყველა ჩამდინარე წყლის გასაუვნებლად.

11. ქართული ნაგაზის შესანახი ადგილი

საძაღლე გათვალისწინებული უნდა იყოს 6 ძაღლიის შესანახად. სასურველია საძაღლის საქონლისა და ცხვრის ფარეხის ტერიტორიაზე ან მიმდებარედ განთავსება.

თითო ვოლიერი არ უნდა იყოს 50 კვ. მ-ზე ნაკლები.

12. თავლა ადგილობრივი ჯიშის ცხენებისათვის

თავლა უნდა იყოს გათვალისწინებული 16 ცხენზე.
სავარაუდო ფართი 200-300 კვ.მ.
ლევადები: 4 ცალი. 500 კვ. მ. თითო
სავარაუდო გენ-გეგმა და შენობა ნაგებობების გეგმები მოცემულია N 1 დანართში

13. ოფისი, სავარაუდო ფართი 300 მ^2
14. საყარაულო, სავარაუდო ფართი 36 მ^2
15. ტექავტოსადგომი, სავარაუდო ფართი 450 მ^2
16. ტექ. ოთახი პერსონალისთვის, სავარაუდო ფართი 50 მ^2
17. საკვები საამქრო ბუნკერებით, სავარაუდო ფართი 800 მ^2
19. სათივე, სავარაუდო ფართი 400 მ^2
20. სასილოსე კოშკი 3000 მ^3
21. სანაკელე უტილიზაცია
22. წყალმომარაგების სისტემა. წყლის რეზერვუარები.

1. შენობა ინტეგრირებული, შეხამებული უნდა იყოს ლანდშაფტთან.
2. სათავსის მოსაპირკეთებელად შერჩეული მასალები უნდა იყოს მაღალი ხარისხის, შეთანხმებული უნდა იყოს შემსყიდველთან, მასალების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს სათავსის ფუნქციონალური დანიშნულება, იგი უნდა პასუხობდეს სათავსის მოწყობის არსებულ ნორმებს.
მოთხოვნები შენობების პროექტანტის მიმართ პროექტანტს მოეთხოვება:

1. ამოცანის გადაჭრისათვის მაქსიმალურად პროფესონიალური და შემოქმედებითი მიდგომა;

2. დახვეწილი, კრეატიული და თავისუფალი გეგმარება;

3. დაგეგმარება ექსტერიერის და ინტერიერის დიზაინის ჩვენებით, სათავსების მოსაპირკეთებელი მასალების შერჩევისას მაქსიმალურად უნდა გათვალისწინდეს სათავსის ფუნქციონალური დანიშნულება;

პროექტანტს მიეცემა საშუალება ადგილზე გაეცნოს დასაპროექტირებელ ტერიტორიას, აზომოს, სურათები გადაიღოს და გააკეთოს ჩანახაზები და ჩანახატები.

გამარჯვებულმა პროექტანტმა უნდა შეიმუშაოს და წარმოადგინოს:

1 სრული არქიტექტურული პროექტი
2 ესკიზური პროექტი
3 ტოპო გადაღება,
4 მიწის გეოლოგიური დასკვნა,
5 კონსტრუქციული პროექტი
6 ვერტიკალური გეგმარება
7 სანტექნიკური პროექტი,
8 ვენტილაციის პროექტი
9 გათბობა- გაგრილების პროექტი,
10 ძალოვანი ელ-ქსელის პროექტი.
11 სუსტი დენების პროექტი.(სახანძრო სიგნალიზაცია, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები, კამერები, სატელეფონო ქსელი, სატელევიზიო ქსელი, კომპიუტერული ინტერნეტ ქსელი)
12 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.
13 ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია (არქიტექტურული პროექტი, სანტექნიკური პროექტი, გამწმენდი ნაგებობის პროექტი).
14 სრული სახარჯთაღრიცხვო მომსახურება (სამშენებლო სამუშაოების საორიენტაციო თანხა------ ლარი).
15 მშენებლობის ნებართვის აღება. ყველა საჭირო დოკუმენტი მშენებლობის ნებართვის ასაღებად.
16 საავტორო ზედამხედველობა

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ნახაზები, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა უნდა წარმოადგინოს 3 ეგზემპლარი. ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში და ელექტრონული სახით ჩაწერილი CD დისკზე. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის - ,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ შესაბამისად

პროექტის განხორციელების პროცესში გამოვლენილ ცვლილებებს რაც გამოწვეულია ობიექტურ აუცილებლობით, მომწოდებელი ასრულებს შემსყიდველთან შეთანხმებით, რაც დამატებითი არ ანაზღაურდება.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების დასრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **2 (ორი)** თვისა.

პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია _____ 2015 წ.

(წინამდებარე ხელშეკრულება დეტალურად დაზუსტდება მიმწოდებლის
საკონკურსო წინადადების შესაბამისად)

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1."ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2"შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (კომპლექსის), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4"ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5"დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთის მხრივ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (შემდგომში "შემსყიდველი")

იურ. მისამართი ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6

ფაქტ. მისამართი ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ #8

და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში "მიმწოდებელი")

მცხოვრები _____

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მუხრანში სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო -კვლევითი ცენტრის ადგილობრივ ჯიშთა შესწავლისა და კონსერვაციის ზოოლოგიური კომპლექსის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა (კოდი:79200000).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მესამე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან - _____ დღის ვადაში.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

5.3 საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები ოთახების განლაგებასთან და მათ ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით.

5.5. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ნახაზები, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა უნდა წარმოადგინოს 3 ეგზემპლარი. ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში და ელექტრონული სახით ჩაწერილი CD დისკზე. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის - ,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის შესახებ დამტკიცებული წესის“ შესაბამისად .

5.6 პროექტის განხორციელების პროცესში გამოვლენილ ცვლილებებს რაც გამოწვეულია ობიექტურ აუცილებლობით, მომწოდებელი ასრულებს შემსყიდველთან შეთანხმებით, რაც დამატებითი არ ანაზღაურდება.

5.7. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ექსპერტიზის მიერ აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება არაუმეტეს_____ სამუშაო დღის ვადაში.

5.8 გამარჯვებულმა პროექტანტმა უნდა შეიმუშაოს და წარმოადგინოს:

1 სრული არქიტექტურული პროექტი
2 ესკიზური პროექტი
3 ტოპო გადაღება,
4 მიწის გეოლოგიური დასკვნა,
5 კონსტრუქციული პროექტი
6 ვერტიკალური გეგმარება
7 სანტექნიკური პროექტი,
8 ვენტილაციის პროექტი
9 გათბობა- გაგრილების პროექტი,
10 ძალოვანი ელ-ქსელის პროექტი.
11 სუსტი დენების პროექტი.(სახანძრო სიგნალიზაცია, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები, კამერები, სატელეფონო ქსელი, სატელევიზიო ქსელი, კომპიუტერული ინტერნეტ ქსელი)
12 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.
13 ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია (არქიტექტურული პროექტი, სანტექნიკური პროექტი, გამწმენდი ნაგებობის პროექტი).
14 სრული სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.
15 მშენებლობის ნებართვის აღება. ყველა საჭირო დოკუმენტი მშენებლობის ნებართვის ასაღებად.
16 საავტორო ზედამხედველობა

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების გაწევის შემდეგ გაფორმდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას უზრუნველყოფს

---

8. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი, და გაწეული იქნება დროულად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ყველა ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

9.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის გაზრდა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398_ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუბრუნებლობას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულება ვადაგადაცილებით

14.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.

14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

15.3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4.ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5.შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.6. ამ მუხლის 15.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2.თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხებზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, რომლის ორი ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან.

შემსყიდველი ორგანიზაცია:	მიმწოდებელი:
სსიპ სოფლის მეურნეობის	
სამეცნიერო კვლევითი ცენტრი	